პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№74 (4068) 15 1970 წ. აპრილი. ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



## სსრ კავშირის XXXVII ჩემპიონატი

## განწირულნი

სად უფრო შეუპოვარია და მძაფრი ბრძოლა: სატურნირო ცხრილის უმაღლეს სფეროებში, თუ მის უკიდურეს სამხრეთ პოლუსზე? ოქროს მედლების ელვარებას, რა თქმა უნდა, სხვა ჰეწი და ლაზათი აქვს, მაგრამ გარწმუნებთ, აუტსაიდერთა ბრძოლაც არანაკლებ ემოციურია თუნდაც იმიტომ, რომ სიტუაციები ყოველდღე მძაფრად იცვლება.

ურყევად დგას თავის ადგილზე მხოლოდ ტარტუს „უნივერსიტეტი". იგი აგებს ლიდერებთან, აგებს საშუალო ძალის გუნდებთან, აგებს ჩამორჩენილებთანაც, ვინაიდან ყველაზე სუსტია და ნამდვილი აუტსაიდერი. „უნივერსიტეტი" განწირულია, მაგრამ ეს საქმის ნახევარია მხოლოდ. საჭიროა კიდევ ერთი მსხვერპლი, ერთი განწირული, რათა თორმეტი გუნდის ცხოვრებაში ბოლოს და ბოლოს მშვიდობა დამყარდეს.

ორიოდე დღის წინ „სერპ ი მოლოტს" თავი ქუდში ჰქონდა. შედარებით არხეინად იყვნენ კიევის დინამოელებიც, მაგრამ მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა მას შემდეგ, რაც საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელებმა ქულა წაართვეს მოსკოველებს: ეს თითქოს ერთი უმნიშვნელო გამარჯვებაა, მაგრამ ამ გამარჯვებამ კაუნასის გუნდიც და თბილისელებიც აუტსაიდერთა კვარტეტის სათავეში მოაქცია.

ოთხი გუნდი 4 ქულით ხავსს ეკიდება. ამ ოთხეულიდან სამი ბოლოს და ბოლოს თავს დააღწევს სახიფათო ზონას და, სულ ცოტა, ერთი წლით დაიბევებს ადგილს უმაღლეს ლიგაში. ჩვენი ღრმა რწმენით, ეს საკითხი მხოლოდ მეორე წრის დასასრულს, ჩემპიონატის ფინიშზე გაირკვევა. მანამდე კი „სერპ ი მოლოტს" ყველაზე უსიამოვნო დღეები ელის.

ეს მართლაც საოცარი გუნდია, რომელმაც აშკარად დაარღვია სატურნირო ცხოვრების ზოგიერთი კანონზომიერება. ყურადღება მიაქციეთ: ბოლოსწინა ადგილზე მყოფ კოლექტივს ყველაზე ძლიერი თავდასხმა ჰყავს, უფრო აგრესიული, ვიდრე თვით ტტტ-ს. მართალია, ამავე დროს მას სარეკორდოდ ბევრი ქულა მიუღია (ეს მოსკოველთა სატურნირო მდგომარეობას სავსებით შეეფერება), მაგრამ რაც ყველაზე საკვირველია, ბურთების სხვაობა დადებითი აქვს.

იმისთვის, რომ ოთხქულიანები ზუსტად გაგვენაწილებინა ცხრილში, მათი ურთიერთშეხვედრების შედეგები დავთვალეთ. გამოირკვა, რომ „სერპ ი მოლოტს" კვარტეტის ყველა წევრთან წაუგია (თბილისელებთან — ორჯერ). ცხადია, მას აღმოაჩნდა უარყოფითი სხვაობა (—12). დანარჩენი გუნდები კი ასეთი თანმიმდევრობით განაწილდნენ: კიევის „დინამო" — 0, თბილისის სპი — პლუს 2, კაუნასის „პოლიტექნიკა" — პლუს 12.

ახლა კი ორიოდე სიტყვა მესამე კალენდარული დღის მატჩებზე. როგორც უკვე ვთქვით, სპი-სა და „სერპ ი მოლოტის" უაღრესად პრინციპული ბრძოლა მასპინძლებმა მოიგეს მინიმალური უპირატესობით — 65:64 (35:33). თამაშის ბედი ფაქტიურად 37-ე წუთზე გადაწყდა, როცა მოედანი დატოვა მოსკოველმა მინაევამ. თბილისელებმა უაღრესად მონდომებული თამაშით ბოლომდე შეინარჩუნეს ის უმნიშვნელო უპირატესობა, რომელიც ბოლოს და ბოლოს ესოდენ საჭირო გამარჯვებაში გადაიზარდა.

აი, ვინ როგორი წვლილი შეიტანა თბილისელთა გუშინწინდელ წარმატებაში: რუსკინა — 21 ქულა, სურგულაძე — 17, ჯანელიძე — 13, სანაძე — 6, არუთინოვა — 4, გამყრელიძე — 2, სტრუჟკინა — 2. სტუმრებს შორის ქულები ასე განაწილდა: ბაზარევიჩი — 27, მიკოტინა — 16, ზელენოვა — 13, გრიზლოვა — 4, მინაევა — 4.

ტტტ-მ საკმაოდ დამაჯერებლად მოუგო ლენინგრადის „ბურევესტნიკს" — 65:42 (36:23). გთავაზობთ ამ მატჩის ტექნიკურ მაჩვენებლებს: ტტტ: სემიონოვა — 24, სკულმე — 11, ხანდელე — 8, გრუნდმანისი — 6, სალენისკე — 4, ლუპოვა — 4, პლიუნე — 4, სკაპანე — 2, ბიკსე — 2; „ბურევესტნიკი": პოპკოვა — 11, ერიომკინა — 10, სმირნოვა — 6, მერზლიაკოვა — 4, კნეტი — 4, სოკოლოვა — 3, სმეკალოვა — 2, ხაბიბულინა — 2.

ასევე აშკარა იყო ლენინგრადის „სპარტაკის" უპირატესობა ტარტუს „უნივერსიტეტთან" მატჩში — 70:41 (32:21). „სპარტაკი": ჩერენკოვა — 14, ზახაროვა — 12, შიროკოვა — 9, ლემეხოვა — 9, კალიაგინა — 8, კუროვა — 6, უშკუმინა — 4, მანიკეროვა — 4, კოჩნოვა — 4; „უნივერსიტეტი": შეხტმანი — 8, კააზიკი — 8, კეები — 7, ტორნი — 5, სოოზუ — 3, პლოომი — 3, ლაოსი — 3, ვოოლანდი — 2, ვაიკმაა — 2, ლოოზუსი — 2, რიმბანიცი — 1.

**ნ. გუგუშვილი.**

* * *

**სურათებზე** (ზევიდან ქვევით): ვინაიდან თამაშის საბოლოო მიზანი კალათში ბურთის ჩაგდებაა, მ. სურგულაძე ხელიდან არ უშვებს სროლისთვის ამ არც ისე ხელსაყრელ პოზიციასაც კი; მწვრთნელები სხვადასხვაგვარად აღიქვამენ თამაშის ამა თუ იმ დეტალს, განცდებს კი დაახლოებით ერთნაირად გამოხატავენ. ამ სიტყვების ცოცხალი ილუსტრაციაა „სერპ ი მოლოტის" მწვრთნელი ვ. ფედოტოვი და თბილისელთა დამრიგებელი ლ. ძეკონსკი; თუ მოედანზე უკონფლიქტო სიტუაციაა, სათადარიგოთა სკამსაც „მშვიდი ძილით სძინავს".

ფოტო ა. რუხაძისა.



### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 15 აპრილისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ტტტ (რიგა) | 14 | 12 | 2 | 925—811 | 12 |
| „სპარტაკი" (მოსკ. ოლქი) | 14 | 11 | 3 | 858—795 | 11 |
| „სპარტაკი" (ლენინგრადი) | 14 | 11 | 3 | 876—767 | 11 |
| „კიბირკშტისი" (ვილნიუსი) | 14 | 10 | 4 | 805—736 | 10 |
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 14 | 9 | 5 | 876—821 | 9 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 14 | 8 | 6 | 850—811 | 8 |
| „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) | 14 | 6 | 8 | 798—827 | 6 |
| „პოლიტექნიკა" (კაუნასი) | 14 | 4 | 10 | 757—855 | 4 |
| სპი (თბილისი) | 14 | 4 | 10 | 782—874 | 4 |
| „დინამო" (კიევი) | 14 | 4 | 10 | 806—867 | 4 |
| „სერპ ი მოლოტი" (მოსკოვი) | 14 | 4 | 10 | 957—951 | 4 |
| „უნივერსიტეტი" (ტარტუ) | 14 | 1 | 13 | 722—885 | 1 |

## 20 45

◆ **როვინი**, 14 აპრილი. იუგოსლავიის ამ საკურორტო ქალაქში დაიწყო საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობენ სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, გდრ-ის, აშშ-ს, იუგოსლავიისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები. 2 ტურის შემდეგ ლიდერობს ამერიკელი დიდოსტატი რ. ფიშერი, რომელმაც დაამარცხა იუგოსლაველები პარმა და ნიჩევსკი. მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ტ. პეტროსიანმა დაამარცხა ნიჩევსკი და ყაიმით დაამთავრა შეხვედრა იუგოსლაველ მაროვიჩთან. ტურნირი უიღბლოდ დაიწყო ვ. კორჩნოიმ, რომელმაც I ტურში წააგო იუგოსლაველ მინიჩთან, ივკოვთან (იუგოსლავია) პარტია კი გადადო. სტარტზე დამარცხდა ვ. სმისლოვიც — წააგო იუგოსლაველ გლიგორიჩთან, ხოლო II ტურში ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ასევე მასპინძელთა წარმომადგენელ უდოვჩიჩთან.

◆ **ბერლინი**, 14 აპრილი. ადგილობრივი „დინამოს" ხელბურთელმა ვაჟებმა მეორე მატჩში დაამარცხეს იუგოსლავიის გუნდი „ცრვენკა" (14:4) და ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალში გავიდნენ (პირველი შეხვედრა სტუმრად გერმანელებმა წააგეს — 6:15). ახლა დინამოელები ელიან ბუქარესტის „სტიაუასა" და გფრ-ის „გუმერსბახის" შეხვედრის შედეგს. რუმინელმა ხელბურთელებმა შინ გაიმარჯვეს — 16:13. განმეორებითი შეხვედრა დორტმუნდში შედგება.

**როცა გაზეთი დასაბეჭდად მზად იყო...**

მოსკოვის მთავარი არქიტექტორი XXI ოლიმპიური თამაშების შესახებ — შიდა გვ.

გვესაუბრება ნონა გაფრინდაშვილი — მე-4 გვ.

## ფეხბურთის ახალი ამბები

**ლონდონი**, 14 აპრილი. ბოლო 58 წლის მანძილზე პირველად მოხდა, რომ ინგლისის თასის გათამაშების ფინალურმა მატჩმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა. ლონდონის „ჩელსისა" და ლიდსის „ლიდს-იუნაიტედის" შეხვედრა უემბლის სტადიონზე, სადაც ნემსი არ ჩავარდებოდა, ფრედ დამთავრდა — 2:2. მატჩის მონაწილეთა შორის ინგლისის ნაკრების ექვსი კანდიდატი იყო.

29 აპრილს მანჩესტერში ფინალისტები განმეორებით მატჩს გამართავენ.

**ბელგრადი**, 14 აპრილი. ხუთ ფეხბურთელს ჰქონდა დებიუტი უნგრეთის ნაკრების შემადგენლობაში, რომელმაც აქ ფრედ დაამთავრა ამხანაგური მატჩი ევროპის ვიცე-ჩემპიონთან, იუგოსლავიის ნაკრებთან — 2:2. უნგრელებმა სამი გოლი გაიტანეს (ერთი — საკუთარ კარში).

**ბრიუსელი**, 14 აპრილი. ბელგიის ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნეს ლიეჟის „სტანდარდის" ფეხბურთელებმა. ფინიშამდე 2 ტურით ადრე მათ 28 მატჩში 47 ქულა მოაგროვეს და მეტოქეთათვის მიუწვდომელნი გახდნენ.

## ქვეყნის პირველი გრაციები

**ვილნიუსი**, 14 აპრილი. მხატვრულ ტანვარჯიშში სსრ კავშირის პირადი პირველობის 9 მედალი სამმა სპორტსმენმა გაიყო. ესენი არიან ომსკელი მოსწავლე გ. შუგუროვა, ქვეყნის ოთხგზის აბსოლუტური ჩემპიონი ნ. სერედა (კიევი) და ა. ნაზმუტდინოვა (სვერდლოვსკი).

ამ ჩემპიონატების 18-წლიან ისტორიაში პირველად მოხდა, რომ აბსოლუტური პირველობა ორმა ტანმოვარჯიშემ გაიყო. უმაღლესი ტიტული მეხუთედ მოიპოვა სერედამ და პირველად — შუგუროვამ. მათ 57,35-57,35 ქულა მოაგროვეს. ბრინჯაოს მედალი ხვდა ნაზმუტდინოვას — 57,05.

სვერდლოვსკელმა მცირე ოქროს მედალი მიიღო უსაგნოდ ვარჯიშისთვის და ვერცხლისა — საგნით ვარჯიშისთვის. იგი საპატიო კვარცხლბეკის საფეხურებს სერედასთან ცვლიდა. ბრინჯაოს ჯილდო ორივეჯერ შუგუროვას ხვდა.

ჯგუფური ვარჯიშები პირველად ჩატარდა მსოფლიო პირველობის პროგრამით. როგორც წინა წლებში, უძლიერესნი ამჯერადაც ბალტიისპირელები აღმოჩნდნენ. ოქროს მედლები მოიპოვეს ლატვიელებმა, ვერცხლისა — ესტონელებმა, ბრინჯაოსი — ლენინგრადელებმა.

გუნდური პირველობა მოიგო რსფსრ-ს ნაკრებმა — 171,5 ქულა. II ადგილზეა უკრაინის გუნდი — 140, III — მოსკოვის კოლექტივი — 117,5. შემდეგი სამი ადგილი ასე განაწილდა: IV — ბელორუსია, V — ლენინგრადი, VI — ლატვია.

## [illegible]

### ✦ ზუგდიდი

სამ დღეს გაგრძელდა რაიონის ფიზკულტურის კოლექტივების შეჯიბრება ტყვიის სროლაში, რომელიც ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა. პირველობა ჭკადუაშის კოლმეურნეობამ დაისაკუთრა. II ადგილზეა სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის გაერთიანებული კოლექტივი, III — ცაიშის ჩაის ფაბრიკის გუნდი.

**ა. ჟვანია,**
**რუხის ბავშვთა სპორტსკოლის დირექტორი.**

### ✦ თერჯოლა

სოფელ ზედა საზანოს საშუალო სკოლაში ჩატარდა მოჭადრაკეთა ორი ტურნირი. შეჯიბრებები ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა. მეცხრეკლასელთა შორის I-II ადგილები გაიყვეს დ. ჩუბინიძემ და გ. ვარდოსანიძემ, მეათეკლასელთა ტურნირში — თ. აბესაძემ და ა. კვანტიძემ.

**ი. მარუაშვილი,**
**რ. გველესიანი.**



# ფეხბურთელები — „

ფეხბურთის მოყვარულთა ყურადღების ცენტრში ამჟამად მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატი დგას. ამ ქვეყნის სტადიონებზე მიმზიდველ მატჩებს ნახავენ ლონდონ—მეხიკოს ზემარათონული ავტორალის მონაწილეებიც. ორშაბათს ამ შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად ინგლისის დედაქალაქში გაფრინდა საბჭოთა გუნდი, რომელიც „ავტოექსპორტმა“ შეაიარაღა.

სულ სარბიელზე 106 ეკიპაჟი გამოვა. მათგან 65 ინგლისელებს ეკუთვნით. ასპარეზობაში მონაწილეობას მიიღებენ ლონდონ — მელბურნის რალიში გამარჯვებული ბრიტანელები ე. კოუენი და ბ. კოული. ამას გარდა, სტარტს აიღებენ საფრანგეთის, არგენტინის, მექსიკის, იტალიის, გფრ-ის, ავსტრალიის, ბოლივიის, აშშ-ს, ესპანეთის, იაპონიის, პოლონეთის, პერუს, კუვეიტის, ანტილის კუნძულების სპორტსმენები.

როგორც ცნობილია, ლონდონ—მელბურნის შეჯიბრებაში 4 საბჭოთა ეკიპაჟი გამოვიდა და ყველა „მოსკვიჩმა“ მშვიდობიანად მიაღწია ფინიშამდე. საბჭოთა მრბოლელები ამჯერადაც „მოსკვიჩ-412“ [...] მანქანებით იასპარეზებენ. [...] მანქანას 14 მრბოლელი მართავს. მათგან შვიდი (ბაჟენოვი, ლესოვსკი, ტენიშევი, კისლიხი, შიროჩენკოვი, ლივშიცი და შაველევი) ავსტრალიის გადარბენის მონაწილეა. დანარჩენები პირველად გამოდიან ასეთ ხანგრძლივ შეჯიბრებაში, მაგრამ გამოცდილი მძღოლები არიან.

21-ე ნომრით გამოვლენ მოსკოველები ი. ასტაფიევი, გ. გარკუშა და ა. საფონოვი; 28-ე ნომრით — ლ. პო-

# მოსკოვი იწვევს ოლიმპიადას...

1970 წლის 8 მაისს ამსტერდამში გაიხსნება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესია, რომელიც გადაწყვეტს, სად უნდა ჩატარდეს 1976 წლის XXI ოლიმპიური თამაშები. მასპინძლობის უფლებისთვის იბრძვის ოთხი ქალაქი. მოსკოვი, ლოს-ანჟელესი, მონრეალი, ფლორენცია. თითოეულ პრეტენდენტს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი 14 სავალდებულო შეკითხვას აძლევს. მათგან რამდენიმე შეკითხვით საკდესის კორესპონდენტმა მიმართა მოსკოვის მთავარ არქიტექტორს, ქალაქის მთავარი არქიტექტურულ-საგეგმო სამმართველოს უფროსს მ. პოსოხინს.

● **თამაშებისთვის საჭირო რა სპორტული ნაგებობები არსებობს ამჟამად ქალაქში?**

— ჩვენს დედაქალაქში ჩინებული სპორტული ბაზებია უდიდესი შეჯიბრებების ორგანიზაციისთვის. მას ყველა პირობა აქვს ოლიმპიადის მონაწილეთა და სტუმრების მისაღებად. კერძოდ, ამას ადასტურებს მოსკოვში მსოფლიო, ევროპისა და საკავშირო ჩემპიონატების, სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადების ჩატარების გამოცდილება. როგორც საერთაშორისო სპორტული მოძრაობის ბევრი თვალსაჩინო მოღვაწე აღნიშნავს, ეს შეჯიბრებები მასშტაბით ოლიმპიურ თამაშებს არ ჩამოუვარდებიან.

მოსკოვის სპორტულ „არსენალში“ შედის 69 სტადიონი, 22 საცურაო აუზი, 110 საფეხბურთო მინდორი, 280 საჩოგბურთო კორტი, 5 დახურული მძლეოსნური მანეჟი და ა. შ. ბევრი ეს ბაზა უკვე დღესვე გამოდგება ოლიმპიური თამაშების მონაწილეებისთვის. პირველ ყოვლისა, ესაა ლუჟნიკის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სახელგანთქმული სპორტული კომპლექსი. ამ კომპლექსში შედის დიდი სპორტული სარბიელი, უზარმაზარი სასახლე, საცურაო აუზი, 140-ზე მეტი სპორტული ნაგებობა, რომელთა ტრიბუნებიც ერთდროულად 160 ათას მაყურებელს იტევენ. ფართოდაა ცნობილი, აგრეთვე, „დინამოს“ სტადიონი, ცსკა-ს სპორტის სასახლე, მიტიშჩის სასროლეთი და ა. შ. დედაქალაქის განვითარების გენერალური გეგმის თანახმად, უახლოეს ხუთ წელიწადში მწყობრში ჩადგება ათობით ახალი სპორტული ბაზა, მაგალითად, ძმები ზნამენსკების სახელობის მძლეოსნური მანეჟი, ფიზიკური კულტურის ცენტრალური ინსტიტუტისა და პატრის ლუმუმბას სახელობის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტის სპორტული კომპლექსები. შენდება სანიჩბოსნო არხი კრილატსკში, მოსკოვის საინჟინრო-ფიზიკური ინსტიტუტის დიდი სპორტული ბაზა და ა. შ. ერთი სიტყვით, მოსკოვის ბაზები საშუალებას მოგვცემს ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შევიტანოთ სპორტის ყველა ძირითადი და ზოგიერთი ახალი სახეობაც (მაგალითად, სლალომი ბაიდარებითა და კანოებით, ხელბურთი, მშვილდოსნობა, ძიუდო).

● **როგორი იქნება და სად განლაგდება ოლიმპიური სოფელი?**

— ოლიმპიური სოფლის მოწყობას აპირებენ იზმაილოვოში — მოსკოვის ერთ-ერთ ულამაზეს რაიონში. იგი დაახლოებით 70 ჰექტარს დაიჭერს. აქ აიგება კომფორტაბელური სასტუმროები, კლუბი კინოდარბაზით, საკონცერტო დარბაზი საცეკვაო ჰოლით და ა. შ. ოლიმპიურ სოფელში გათვალისწინებულია აგრეთვე წვრთნისთვის განკუთვნილი სხვადასხვა ნაგებობაც. საცურაო აუზი, ფეხბურთის მანეჟი, ხისსაფარიანი ველოტრეკი და სხვ. ამავე მიზნით შეიძლება გამოვიყენოთ იზმაილოვოში უკვე არსებული სპორტული ბაზებიც.

თუ მოსკოვი XXI ოლიმპიადის დედაქალაქი იქნება, შეჯიბრების ორგანიზაციისთვის შეიქმნება ოთხი სპორტული ცენტრი: ლუჟნიკი, იზმაილოვო, ლენინგრადის პროსპექტის რაიონი („დინამოს“ სტადიონი, „ნორჩ პიონერთა“ სტადიონი, ცსკა-ს სპორტული კომპლექსი, „კრილია სოვეტოვის“ სპორტკლუბი) და ნაგატინო, აგრეთვე, უნივერსალური დარბაზი მშვიდობის პროსპექტის რაიონში.

დიდი სპორტული ცენტრის შექმნას ფიქრობენ ნაგატინოში, მდინარე მოსკოვის ერთ-ერთ კუნძულზე. ამ კომპლექსში შევა უნივერსალური დარბაზი, საცურაო აუზი, ველოტრეკი, სხვადასხვა სპორტული სარბიელი. მოსკოვის მძლავრ სამშენებლო ორგანიზაციებს აქვთ აუცილებელი მატერიალური ბაზა საიმისოდ, რომ სწრაფად და ხარისხიანად შეასრულონ ყველა სამუშაო. საკმარისია ითქვას, რომ მათ ლუჟნიკის გიგანტური კომპლექსის მოსაწყობადაც კი სულ 450 დღე დასჭირდათ.

● **რა შესაძლებლობები არსებობს სტუმრების კარგად დაბინავებისთვის?**

— მოსკოვი უკვე დღეს ითვლება მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ და კეთილმოწყობილ ქალაქად. უახლოეს წლებში დედაქალაქში გაჩნდება ახალი მაგისტრალები და საცხოვრებელი მასივები, იგი უფრო გამწვანდება. მალე მწყობრში ჩადგება სასტუმრო „ნაციონალის“ შენობა გორკის ქუჩაზე, სასტუმრო „სმოლენსკაია“ სმოლენსკის მოედანზე, მოტელი მინსკის გზატკეცილზე. იწყება სასტუმრო „მოსკვას“ მეორე რიგის მშენებლობა. აპროექტებენ სხვა კომფორტაბელურ სასტუმროებსაც.

ახალი ცენტრებითა და მაღაზიებით, საზოგადოებრივი კვების დაწესებულებებით გამდიდრდება დედაქალაქის სავაჭრო ქსელი.

● **ბოლო შეკითხვა, რომელიც ოლიმპიური ანკეტით გათვალისწინებული არ არის. გვიამბეთ დედაქალაქის არქიტექტურულ ღირსშესანიშნაობებზე.**

— მაგ შეკითხვის მოკლე პასუხით ამოწურვა შეუძლებელია — საბჭოთა ხელისუფლების წლებში გრანდიოზული ცვლილებები მოხდა. მოსკოვმა უძველესი ქალაქის სახეც შეინარჩუნა და თანამედროვე, ერთიანი გენერალური გეგმითაც განვითარდა.

მოსკოვის „ქვის მატიანის“ საგანძური მართლაც ამოუწურავია. ბევრი მისი ისტორიული ძეგლი მსოფლიო მნიშვნელობისაა.

ერთი სიტყვით, ჩვენი ქალაქი შეძლებს ღირსეულად, ჭეშმარიტად რუსული სტუმართმოყვარეობით შეხვდეს ოლიმპიური თამაშების მონაწილეებსა და სტუმრებს.

# ტელეტაიპის ლენტიდან

◆ **ბუდაპეშტი,** 13 აპრილი. უნგრეთში გამართული ავტორალი ფაშისტური უღლისგან ამ ქვეყნის განთავისუფლების 25-ე წლისთავს მიეძღვნა. რალის მარშრუტი უნგრეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში გადიოდა: ბუდაპეშტი — მიშკოლცი — დებრეცენი — ბუდაპეშტი. ამ საინტერესო შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ბულგარეთის, გდრ-ის, უნგრეთის, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის მრბოლელები, მაგრამ სტარტიდან წასული 46 მანქანიდან ფინიშს მხოლოდ 39-მა მიაღწია. თავიანთ კლასებში გაიმარჯვეს მანქანების ეკიპაჟებმა, რომლებსაც მეთაურობდნენ შტრობეკი (გდრ), კემმარკი (უნგრეთი), მიტკო და მუხა (ორივე — პოლონეთი). საბჭოთა ავტომობილისტები „მოსკვიჩებით“ ასპარეზობდნენ. ტაურის ეკიპაჟმა IV ადგილი დაიკავა, კოზლოვისამ — VIII, ლამინის მანქანამ კი დისტანცია ვერ დაამთავრა. რალის მონაწილეებმა ბუდაპეშტში ვ. ი. ლენინის ძეგლი გვირგვინით შეამკეს.

◆ **ტოკიო,** 13 აპრილი. ცნობილმა ინგლისელმა მორბენალმა ბ. ადკოქსმა მოიგო XXV ტრადიციული მარათონი, რომელსაც იაპონური გაზეთი „მაინიტი“ ატარებს. გამარჯვებულის დრო 2:13.46. ეს შედეგი ერთ-ერთი საუკეთესოა მძლეოსნობის ისტორიაში. ადკოქსმა მეხიკოს ოლიმპიადაში V ადგილი დაიკავა. „მაინიტის“ წლევანდელ მარათონში, რომელშიც 57 სპორტსმენი ასპარეზობდა, იგი ერთადერთი უცხოელი მონაწილე იყო.

◆ **ჯამბული,** 13 აპრილი. „ენბეკის“ სპორტულ დარბაზში დამთავრდა შეჯიბრება ახალგაზრდა მოჭიდავეებისა, რომლებიც საბჭოთა კავშირის გმირის ა. სუხამბაევის სახელობის პრიზს ეცილებოდნენ ერთმანეთს. სუხამბაევმა სამამულო ომში ა. მატროსოვის გმირობა გაიმეორა — ფაშისტური საცეცხლე წერტის ამბრაზურას გადაეფარა. I ადგილი მოიპოვეს „შრომითი რეზერვების“ წარმომადგენლებმა. ეს პრიზი გამარჯვებულ გუნდს გადასცა გმირის ძმამ, ყოფილმა ტრაქტორისტმა, 70 წლის ნ. სუხამბაევმა. გმირის თანამემამულეები — სვერდლოვსკის რაიონის სოფლის მოჭიდავეები სიგელით დაჯილდოვდნენ.

# მოტომრბოლელთა სტარტები

მოტოკროსმენებმა 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატის პირველი შეჯიბრებები გამართეს. „250-ანების“ კლასში ტურნირი ბარსელონის მახლობლად ჩატარდა. გაიმარჯვა სახელგანთქმულმა ბელგიელმა მრბოლელმა ჟ. რობერმა, რომელიც იაპონური „სუზუკით“ ასპარეზობდა.

„500-ანების“ კლასში შეჯიბრება ჟენევის ტრასაზე გაიმართა. ფინიშთან პირველი იყო შვედი ბ. აბერგი. იგი „ხუსკვარნით“ გამოდიოდა.

საბჭოთა მოტოკროსმენები ჩემპიონატში ცოტა მოგვიანებით ჩაებმებიან. წინა წლების მსგავსად, ამ ზაფხულს მსოფლიო ჩემპიონატის ეტაპები სსრ კავშირშიც მოეწყობა. „250-ანებისთვის“ VI ეტაპი 31 მაისს გაიმართება ლვოვში, ხოლო „500-ანებისთვის“ VIII ეტაპი — 21 ივნისს პოლტავაში.

# მედლები უცხოეთიდან

არც ისე დიდი ხნის წინ იტალიის მთამსვლელთა კლუბმა „ტურინმა“ სამახსოვრო მედალი გადასცა სპორტის ოსტატს, სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს ჰუსეინ ზალიხანოვს. ეს საბჭოთა მთამსვლელის პირველი საზღვარგარეთული ჯილდო როდია. კავკასიონზე ერთობლივ ასვლებში მონაწილეობის თ ვ ი ს სპორტსმენი ინგლისის, ავსტრიის, ბულგარეთის, გდრ-ის, მექსიკის, იუგოსლავიისა და იაპონიის ალპინისტური კლუბების საპატიო მედლებითაა დაჯილდოებული. ამას გარდა, ზალიხანოვი რვა საზღვარგარეთული კლუბისა და აშშ-ს ეროვნული გეოგრაფიული საზოგადოების საპატიო წევრია.

ზალიხანოვი ჩრდილოეთ კავკასიის პატარა ავტონომიურ რესპუბლიკაში, ყაბარდო-ბალყარეთში ცხოვრობს. პირველად, ჯერ კიდევ ჭაბუკობის დღეებში, იგი იალბუზზე (5633 მ) ავიდა მამასთან ჩოკა ზალიხანოვთან ერთად, რომელმაც 114 წელიწადს იცოცხლა. მას შემდეგ იგი კიდევ დაახლოებით ასორმოცჯერაა ასული ევროპის ყველაზე მაღალ მთაზე. ამჟამად ზალიხანოვი მაღალმთიანი გეოფიზიკური ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეა და ერთდროულად მთამსვლელთა ადგილობრივი სექციის მწვრთნელად მუშაობს.

ცნობილი მთამსვლელები გახდნენ ზალიხანოვის უმცროსი ძმებიც, სპორტის ოსტატები მიხეილი და ვლადიმერი. საბჭოთა კავშირის ოთხგზის ჩემპიონმა მიხეილმა ამ ცოტა ხნის წინ დისერტაცია დაიცვა და ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი გახდა. ვლადიმერი მსოფლიოში ყველაზე მაღალმთიანი ტურისტული ბაზის (4200 მ) — „თერთმეტთა თავშესაფრის“ დირექტორია.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# „…ოსკვირჩებით“

…ტი (ვილნიუსი), ე. ბაჟენოვი (…ი), ი. ლესოვსკი (მოსკოვი); მე-… …მრით — ს. ტენიშევი, ვ. კის-… …ვ. შიროჩენკოვი (ყველა—მოს-… …71-ე ნომრის ეკიპაჟი ასეთია: …ომი (ტალინი), ვ. ბუბნოვი (მოს-… …კ. …ირდაუსკასი (კაუნასი). 84-ე …ი ასპარეზზე მოსკოველები ე. …ეი და ვ. შაველევი.

…პირველად ავტომობილისტე-…ოპის გზებზე ივლიან. ის, ვინც …ის ტრასებს კარგად გაართმევს თავს, სამხრეთ ამერიკაში გადაინაცვლებს, იქიდან კი მეხიკოში გაემგზავრება. სამხრეთ და ცენტრალურ ამერიკას შორის მათ ერთი საზღვაო მოგზაურობაც მოუწევთ. სულ მრბოლელებმა 25 ათასი კმ უნდა გადალახონ.

რალის ფინიშის მოწყობა განზრახულია „აცტეკის“ სტადიონზე ფეხბურთელთა ჩემპიონატის გახსნის წინადღეს.

**ვ. დვორცოვი.**

# ახალი ამბები

● **ნოვოსიბირსკი**, 13 აპრილი. „ნეპტუნის“ აუზში დაიწყო სსრ კავშირის და გდრ-ის მოცურავეთა ნაკრები გუნდების საერთაშორისო ამხანაგური მატჩი. პირველი დღის შემდეგ გუნდურ ჩათვლაში მასპინძლები დაწინაურდნენ — 57:52. მოსკოვის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის სტუდენტმა, 19 წლის ვ. ბურემ, რომელიც თავისუფალი სტილით 4×100 მეტრზე ესტაფეტის პირველ ეტაპზე გამოდიოდა, სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა — 53,1. ესტაფეტა მასპინძლებმა მოიგეს. 100 მეტრზე თავისუფალი სტილით მოცურავე ქალთა შეჯიბრებაში გ. ვეცკომ (გდრ) თავისივე ევროპული რეკორდი (59,6) გაიმეორა. ა. სამსონოვმა ჭაბუკთა ორი საკავშირო რეკორდი გააუმჯობესა: 1500 მ 17 წუთსა და 15,1 წამში გაცურა, ხოლო გზად, 800 მეტრზე, 9.09,8 აჩვენა.

● **დრეზდენი, 13 აპრილი.** აქ დამთავრდა გდრ-ისა და სსრ კავშირის იუნიორ მოცურავეთა საერთაშორისო მატჩი, რომელიც მასპინძლებმა მოიგეს — 182:162. ტურნირის ბოლო, მესამე დღეს სტუმრებმა იუნიორთა კიდევ ორი საკავშირო რეკორდი დაამყარეს: 4×100 მეტრზე კომბინირებულ ესტაფეტაში ჭაბუკებმა 4.12,7 აჩვენეს, გოგონებმა — 4.40,5.

● **მოსკოვი**, 13 აპრილი. **თუმცა შაიბიან ჰოკეიში საკავშირო ჩემპიონატი ჯერ არ დამთავრებულა, მაგრამ ჩემპიონი უკვე ცნობილია. გუშინ ცსკა-მ დაამარცხა თანაქალაქელი დინამოელები (8:2) და მეთხუთმეტედ დაეუფლა ოქროს მედლებს.**

● **ბუდაპეშტი, 13 აპრილი.** 20 ქვეყნის 100-ზე მეტი ძალოსანი იასპარეზებს ევროპის პირველობაში, რომელიც 20-28 ივნისს გაიმართება უნგრეთის ქალაქ სომბატხეიში.

# ოქროსთვის ორი გუნდი იბრძვის

**ლენინგრადი, 13 აპრილი.** სსრ კავშირის ფრენბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის ლიდერმა — ალმა-ათის „ბურევესტნიკმა“ დღეს სატურნირო ცხრილში მორიგი ქულა ჩაიწერა, ანგარიშით 3:0 დაამარცხა ხარკოველი თანაკლუბელები.

12 უძლიერესი გუნდისთვის ჩვენი ქალაქი ხანგრძლივი „საფეხბურთო ცურვის“ უკანასკნელი ნავსაყუდარია. აქ დაწყებული დასკვნითი ტური საპატიო კვარცხლბეკის საფეხურებს გაანაწილებს. ალმაათელთა გარდა, ოქროს მედალს მხოლოდ ერთი გუნდი — ცსკა უმიზნებს, რომელიც ლიდერს აქ დაწყებული შეჯიბრების წინ ქულით ჩამორჩებოდა. ამ ორი გუნდის შეხვედრა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. ცსკა-მ დღეს ერთობ მძიმე ბრძოლა გადაიტანა — ანგარიშით 3:2 სძლია ოდესის „ბურევესტნიკს“.

ბრინჯაოს მედლის მოპოვების შანსს ინარჩუნებს როსტოვის ასკ, თუმცა მან დღეს წააგო ირკუტსკის „დინამოსთან“ — 2:3.

დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: „ავტომობილისტი“ (ლენინგრადი) — „ზვეზდა“ (ვოროშილოვგრადი) 3:2, აზერბაიჯანის ნავთობისა და ქიმიის ინსტიტუტის გუნდი (ბაქო) — „კალევი“ (ტალინი) 3:1.

# რეკორდების დამტკიცება

**ბერლინი**, 13 აპრილი. სამოყვარულო მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ევროპულმა კომიტეტმა გდრ-ის დედაქალაქში გამართულ სხდომაზე **1969** წელს დამყარებული ევროპული რეკორდები დაამტკიცა. მათ შორის, ნ. ჩიჟოვას (ლენინგრადი) შედეგი ბირთვის კვრაში — **20,09** მ (ხოჟუვი, მატჩი სსრკ — გდრ — პოლონეთი) და სვერდლოვსკელი გ. აგაპოვის მიღწევა **20** კილომეტრზე სპორტულ სიარულში — **1:26.45,8** (სიმფეროპოლი, აპრილი).

რატიფიცირებულია აგრეთვე სხვა სოციალისტური ქვეყნების სპორტსმენთა მიღწევებიც. მათ შორის, ი. ჰააზეს (გდრ) შედეგი **10** კილომეტრზე რბენაში — **28.04,4**, ლ. დანეკის (ჩეხოსლოვაკია) მიღწევა ბადროს ტყორცნაში — **66,48** მ, ტ. ხუკნევიჩისა (პოლონეთი) და კ. ბალცერის (გდრ) შედეგები **100** მეტრზე თარჯრბენში — **13,3** წამი.



# 100 ათასზე მეტი...

ვოროშილოვგრადის ახალგაზრდობა გატაცებულია სპორტით. ქალაქში შესანიშნავი პირობებია შექმნილი მათთვის. 80 სპორტულ-ტანვარჯიშულ დარბაზში, ორ ზამთრის საცურაო აუზზე, უკრაინის უდიდეს მძლეოსნურ მანეჟში, კრივის, ჭიდაობის, ძალოსნობის სპეციალიზებულ დარბაზებში სხვადასხვა სექციაში 100 ათასზე მეტი ფიზკულტურელი მეცადინეობს.

ქალაქის სპორტსმენები ბევრჯერ გასულან საპრიზო ადგილებზე რესპუბლიკურ თუ საკავშირო შეჯიბრებებში.

• • •

სურათზე: სპორტსმენთა წვრთნა მძლეოსნურ მანეჟზე.

ფოტო რ. აზრიელისა.

# „თოვლის“ მატარებლით

ლვოველმა ტურისტებმა — მუშებმა, სტუდენტებმა, მეცნიერებმა, რომლებიც კარპატის მთებამდე სპეციალური „თოვლის“ მატარებლით მივიდნენ, დაიპყრეს გოვერლა — ყველაზე მაღალი მწვერვალი უკრაინაში.

სხვათა შორის, კარპატებში ამ მატარებელს ტყუილად როდი ეძახიან თოვლისას. დაბლა, ბარში, დიდი ხანია გაზაფხული ბატონობს, აქ კი უკრაინული ზამთრის საბოლოო თავშესაფარია.

კარპატები თეთრი ფიფქების კორიანტელით შეხვდა ტურისტებს. რაც უფრო მაღლა ადიოდნენ, თოვლის საბურველი მით უფრო მჭიდრო ხდებოდა, მით უფრო ძლიერად ქროდა ქარი. პამირთან და კავკასიონის მწვერვალებთან შედარებით გოვერლა არც ისე მაღალია — 2061 მეტრია, მაგრამ ძალიან ვერაგი კია, განსაკუთრებით, ბოლო 500 მეტრი. აქ მუდამ ქარი ქრის, მაგრამ ამჯერად მან ვერ შეაშინა შეუპოვარი ჭაბუკები და ქალიშვილები. მწვერვალზე ავიდნენ კინესკოპებისა და სატელევიზიო ქარხნების მუშები, ლვოვის უნივერსიტეტის, სასოფლო-სამეურნეო, სამედიცინო და სხვა ინსტიტუტების სტუდენტები, დროგობიჩისა და ბორისლავის მენავთობეები, ჩერვონოგრადის მეშახტეები, ივანო-ფრანკოვსკის, ხმელნიცკის, ჩერნოვიცკის, ზაკარპატსკის კომკავშირელები, კიეველი და ლენინგრადელი ტურისტები.

სულ ამ მასობრივ იერიშში 850 კაცი მონაწილეობდა. მათში ყველაზე ხნიერმა — ასვლის შტაბის უფროსმა, მელიორაციული ტექნიკუმის მასწავლებელმა პ. კურილოვმა დიდი ხანია 60 წელს გადააბიჯა. ყველაზე უმცროსი იყო 9 წლის ჩერვონოგრადელი მოსწავლე ოლეგ შჩაპინი, რომელიც მწვერვალზე მშობლებთან — გალინა და მიხეილ შჩაპინებთან ერთად ავიდა. ოლეგი პირველად იყო ასეთ სიმაღლეზე, მისმა თანაქალაქელმა, 12 წლის საშა არგატიუკმა კი უკვე მეორედ დაიპყრო გოვერლა. იგი კარპატის სხვა მწვერვალებზეცაა ნამყოფი.

ლვოვის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის მუშას, ტურიზმის ინსტრუქტორს ს. ჩურას 5 აპრილს დაბადების დღე ჰქონდა და იგი ღრუბელთა სამეფოში აღნიშნა, როგორც ნამდვილ ტურისტს შეჰფერის.

**კ. ბელიაევი.**
(უკრაინის დეპეშათა სააგენტოს კორ.).
ლვოვი.

# პატარა მანქანების დიდი კოლექცია

ალბათ ბევრს ახსოვს „კომსომოლსკაია პრავდაში“ გამოქვეყნებული ფოტოსურათი, რომელიც ვ. პესკოვმა აფრიკიდან ჩამოიტანა — დამტვრეული ავტომანქანა და მის გვერდით მკვდარი მარტორქა. თუ მოისურვებთ ნახოთ, რა ხდებოდა მანქანასთან ცხოველის ტრაგიკულ შეხვედრამდე ორიოდე წამით ადრე, სრულიადაც არ არის აუცილებელი შორეულ აფრიკაში გამგზავრება. საკმარისია ესტუმროთ ავტოსამოდელო სპორტში სსრ კავშირის ჩემპიონს, ბაქოელ რ. კულიევს: წითელი „ფოლკსვაგენი“ და წინდაუხედავი მარტორქა (თითქმის ასჯერ შემცირებული) თითქოს გაქვავებულან შეჯახების წინ. ეს სათამაშო სცენაა, ხოლო „ფოლკსვაგენი“ ერთ-ერთი ასლია იმ პატარა ავტომობილებისა, რომელთაც რ. კულიევი აგროვებს.

ეს გატაცება სპორტულმა სპეციალიზაციამ გამოიწვია. მას შემდეგ, რაც ავტოსამოდელო სპორტის საიდუმლოებები გაიცნო, კულიევმა პატარა სარბოლო და სპორტულ-ტურისტული ავტომობილების შეგროვება დაიწყო. მაშინვე გაუჩნდა პირველი შენაძენი — ფირმა „მარკოს ვოლვოს“ სარბოლო მოდელი.

შემდეგ კოლექციამ სწრაფად იწყო ზრდა: მოსკოვში შესაძლებელი გახდა ფრანგული „პორშე-კარერას“, ინგლისური „იაგუარის“, გერმანული „ფოლკსვაგენის“ შოვნა. კულიევის ძველმა მეგობარმა და ამხანაგმა აზერბაიჯანისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდებიდან მ. ოსიპოვმა უნგრეთიდან ჩამოიტანა ჩვენი საუკუნის დასაწყისის „დანჯლრეული“ მანქანის მინიატურული ასლი, რომელსაც დღევანდელობისთვის უჩვეულო გზის ფარნები ჰქონდა. ეს იყო რაღაც ცნობილი „ანტილოპა-გნუს“ მსგავსი რამ.

პატარა ავტომობილების შემგროვებლებმა ჯერ კიდევ ვერ მოუნახეს თავიანთ გატაცებას დასახელება, მაგრამ უკვე სრული უფლებით შეიძლება ითქვას, რომ დოსააფის ბაქოს ავტო-მოტოკლუბის მწვრთნელი რ. კულიევი ფლობს უნიკალურ კოლექციას, რომელიც დღითი-დღე სოლიდური ხდება.

ამ თავისებური სათამაშოებიდან ბევრი ინგლისური ფირმების „მატჩ-ბოქსის“ და „კორგი ტოისის“ დამზადებულია. მინი-ავტომობილებს შურის თვალით შეხედავენ ის ავტომოყვარულებიც, რომლებიც დიდი ხანია გამოვიდნენ საბავშვო ასაკიდან. მაგალითად, ფირმა „ფერარის“ მოდელის სრული ასლი (გაიხსენეთ ფილმი „დიდი პრიზი“): იხსნება კაპოტი და ჩანს უკან განლაგებული ძრავა, სათადარიგო ბორბალიც კი. მანქანის კარები იღება, შეიძლება ოთხივე ბორბლის სწრაფად გამოცვლა.

აი, „მოსკვიჩ-408“, სწორედ ის, რომელმაც წარმატებით გაართვა თავი ლონდონ — სიდნეის უძნელესი რალის ყველა დაბრკოლებას. გვერდზე კი კაშკაშა წითელი ფერის ლიმუზინია სახურავზე ორი სათადარიგო ბორბლით — „ბმც მინი-კუპერს „ს“-ის ტურისტული ვარიანტი, მონტე-კარლოს ავტორალის მონაწილე.

ახლა კულიევს კიდევ ერთი გატაცება გაუჩნდა: ახალი წლის წინა დღეებში მან მოსკოვიდან მიიღო ამანათი, რომელშიც ავტოდრომი იდო. იგი ნამდვილს ჰგავს, აქვს სარბოლო ტრეკი, ვირაჟები, ტრიბუნები, გარაჟები და მსაჯის სახლიც კი. მაკეტებისგან განსხვავებით, აქ იმართება ელექტრომძრავიანი მანქანების ნამდვილი რბოლები, ხოლო თამაშ-შეჯიბრების მონაწილენი ნამდვილ სპორტულ ბრძოლაში ებმებიან. ისინი თავიანთ მანქანებს ხელის რეოსტატების საშუალებით მართავენ.

ეს თამაში ევროპის ბევრ ქვეყანაში საყოველთაო გატაცებად იქცა. შედგა პირველი ტურნირები ბალტიისპირეთში. კულიევმა გადაწყვიტა ბაქოში ჩაატაროს ამიერკავკასიაში პირველი რბოლები მინიავტოდრომზე.

ეს ნაგებობა (2 კვ მ) მაგიდაზე არ ეტევა, მისთვის სპეციალურ სტენდს ამზადებენ. დროთა განმავლობაში მის სრულყოფას აპირებენ. კულიევს სურს დაამზადოს მექანიკური მოწყობილობა მანქანების ერთდროული სტარტისთვის, ფოტოელემენტი, რომელიც წრეებს დათვლის, ბენზინის ჩასასხმელი სადგურის მაკეტი.

ასე იქცევა თამაში სერიოზულ და სასარგებლო გატაცებად.

**ნ. ბარსკი,**
აზერბაიჯანის ავტოსამოდელო სპორტის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი.

ალჟირში გამართულ ამ ასპარეზობაში სტარტი ქვიშის იახტებმა აიღეს. ცხენოსნები მხოლოდ ლამაზ ესკორტს წარმოადგენდნენ. შეჯიბრება მოაწყო ალჟირის ტურისტულმა ორგანიზაციამ ფრანგი მომღერლის ფ. ჰარდის თაოსნობით.

ქვიშის იახტები, რომლებიც ქარის მეშვეობით მოძრაობენ, საჰარის გადაღმა, სამხრეთ ალჟირში, ელ გოლეასკენ გაემართნენ.

"ლელოს" ინტერვიუ

# მართლაც „საუკუნის მატჩი" იყო

ჯერ კიდევ შარშან დეკემბერში ევროპის პირველობაში გამარჯვების შემდეგ იუგოსლავიიდან დაბრუნებულმა ნონა გაფრინდაშვილმა გვითხრა, რომ კვლავ აპირებს ბელგრადში წასვლას. უხაროდა, რომ 8 მარტისადმი მიძღვნილ ქალთა საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის შემდეგ „საუკუნის მატჩს" დაესწრებოდა.

— თავიდან ვიცოდი, რომ ამ მატჩის მხოლოდ სამ ტურს დავესწრებოდი, — გვიამბობს ნონა. — მეოთხე ტურის დღეს — 4 აპრილს შინ ვბრუნდებოდით. აეროდრომზე მიმა ტალი გვაცილებდა. გზაში მან გვითხრა, სადაც მე ვარ, იქ არ შეიძლება რამე უცნაური არ მოხდესო. და მოხდა კიდეც. თვითმფრინავმა გაგვასწრო. გამოირკვა, რომ ავიაკომპანიის მიზეზით დავაგვიანეთ (ბილეთზე გაფრენის დრო ზამთრის განრიგით იყო ნაჩვენები) და მისივე ხარჯზე კიდევ ორი დღე დავრჩით ბელგრადში. ზოგი ჭირი მარგებელიაო: მთელი მატჩი ვნახე.

ჭადრაკის დედოფალი ვერ მალავს კმაყოფილებას ნანახისა და განცდილის გამო. იგი სიამოვნებით გვიზიარებს შთაბეჭდილებებს.

— გრანდიოზული სანახაობა იყო. მარქსისა და ლენინის სახელობის მოედანზე რამდენიმე ათასი მაყურებელი წვიმიან ამინდში ადევნებდა თვალს იმ დღისთვის ყველაზე საინტერესო ორთაბრძოლას. მსგავსი რამ არასოდეს მინახავს, — ამბობს ნონა.

ვათვალიერებთ მატჩისადმი მიძღვნილ პროგრამებს, რომლებიც ბელგრადში გამოიცა დიდი გემოვნებითა და საქმის ცოდნით. პარტიები ცალკე ისტამბებოდა და პრეს-ცენტრში ჟურნალისტებს ურიგებდნენ.



— რამდენადაც ვიცი, შენ პირველად შეხვდი ფიშერს. როგორ გაეცანი და რა შთაბეჭდილება დაგრჩა?

— ფიშერი გლიგორიჩმა გამაცნო ბელგრადის მერთან მიღებაზე, მაგრამ ვერ ვესაუბრე. ჟურნალისტები პირდაპირ ნადირობენ მასზე და არც მიღებაზე მოასვენეს, — იცინის ნონა. — თამაშის დროსაც ვაკვირდებოდი. იგი უდიდესი მონდომებით იბრძვის. სკამიდან თითქმის არ დგება. თუ ადგებოდა, სწრაფი ნაბიჯით მიიჭრებოდა სპასკის, კორჩნოის ან ტალის მაგიდასთან, თვალს გადაავლებდა მათ პოზიციას და შურდულივით უკან ბრუნდებოდა. როგორც ჩანს, ნერვიულია. თამაშის პროცესში რძეს ან მინერალურ წყალს სვამს. აცვია ჩვეულებრივად.

— როგორ თამაშობს?

— ბრწყინვალე დიდოსტატია და საკუთარ ძალაში ღრმადაცაა დარწმუნებული. ამიტომ იყო, რომ „საუკუნის მატჩში" ფიშერის მონაწილეობა ყველას სურდა და მის ყოველ პრეტენზიას აკმაყოფილებდნენ. ჩემი აზრით, მისი მოთხოვნები, ზოგიერთ ახირებას თუ არ ვიგულისხმებთ, ხელს უწყობს მოჭადრაკეთა შემოქმედებითი ბრძოლისთვის ნორმალური პირობების შექმნას.

ნონამ გვაჩვენა სურათი (რომელსაც დღეს გთავაზობთ): ფიშერი (მარცხნიდან — მეორე) „იზვესტიის" სპეციალურ კორესპონდენტთან, დიდოსტატ დ. ბრონშტეინთან და მატჩის ორგანიზატორებთან ერთად დარბაზში განათებას ამოწმებს.

— განათებას ფიშერი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, — შენიშნავს ნონა. — რა თქმა უნდა, მთელს სცენაზე თანაბარი განათება არც შეიძლებოდა ყოფილიყო. ამიტომ მან თვითონ ამოირჩია სათამაშო ადგილი და მთელი მატჩის მანძილზე არ შეუცვლია იგი.

„საუკუნის მატჩის" წინ ჭადრაკის დედოფალი ბელგრადის ტელევიზიით გამოვიდა. შეკითხვებს დიდოსტატი ა. მატანოვიჩი აძლევდა. ნონამ მაშინ თქვა, რომ 5 ქულის უპირატესობით გაიმარჯვებდნენ საბჭოთა მოჭადრაკეები.

— პროგნოზებში ყველა გავწბილდით, — იცინის ნონა. — ეს იმიტომ, რომ ჩვენი ლიდერები ფორმაში ვერ აღმოჩნდნენ. ამის მაგალითად კორჩნოის საოცრად შებორკილი თამაშიც საკმარისია.

— პეტროსიანის მარცხი რით აიხსნება?

— ფიშერი რომ ძალიან ძლიერი მოჭადრაკეა და მასთან თამაში ადვილი არ არის, ეს ჭეშმარიტებაა. პეტროსიანი მასთან საბრძოლველად მზად არ იყო. როცა შეიტყო, რომ მეორე დაფაზე ლარსენი არ ითამაშებდა, იგი ოლაფსონის წინააღმდეგ საბრძოლველად განეწყო. მატჩის დაწყების წინადღით უთხრეს, ფიშერთან ითამაშებო. შეხვედრის დაწყების წინ გააფრთხილეს: ჯერ გააკეთე სვლას და მერე ჩაწერ ბლანკშიო. ასე მოითხოვდა ფიშერი. პეტროსიანს უნდა ეღალატნა თავისი ჩვევისთვის, რაკი ამას „საუკუნის მატჩის" ინტერესები მოითხოვდა. ყოველივე ამან უარყოფითად იმოქმედა მასზე. პეტროსიანმა ნამდვილი ბრძოლა ფიშერს მხოლოდ მაშინ გაუმართა, როცა გონს მოვიდა. ამ ორი მოჭადრაკის მატჩის ბედი ფსიქოლოგიურმა ფაქტორმა გადაწყვიტა.

„საუკუნის მატჩში" ყოველი ტურის საუკეთესო პარტიისთვის საგანგებო პრიზები (თითოეული — 1500 დინარი) იყო დაწესებული. I ტურში ეს პრიზი მიიღო ფიშერმა პეტროსიანთან, II ტურში — სპასკიმ ლარსენთან, III ტურში — რეშევსკიმ სმისლოვთან და IV ტურში — კერესმა ივკოვთან მოგებისთვის. სამხატვრო აკადემიის ორი პრიზი — მინიატურული ქანდაკებები — გელერმა და ლარსენმა მიიღეს. ეს ჯილდო პირველს მიეცა საბჭოთა დიდოსტატთა შორის საუკეთესო პარტიისთვის (გლიგორიჩთან), მეორეს — სპორტულად მნიშვნელოვანი ქულის მოპოვებისთვის (შტეინთან მოგებისთვის).

ჭადრაკის დედოფლის აზრით, ტურებში ზოგიერთი უკეთესი პარტიაც გათამაშდა.

— ეს მართლაც „საუკუნის მატჩი" იყო, — ამბობს ნონა. — უფრო მიმზიდველი შეჯიბრება არ მახსოვს. ამ მატჩის გამეორება, ვფიქრობ, კვლავ დიდ ინტერესს გამოიწვევს.

თ. ბიორბაძე.

[illegible]

**✦ ხაშური**

ნორჩ მოჭადრაკეთა გუნდურ პირველობაში, რომელიც ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა, 9 საშუალო სკოლა მონაწილეობდა. ჩემპიონის სახელი მოიპოვა სურამის მე-3 საშუალო სკოლის ნაკრებმა.

ზ. მოსეშვილი.

**✦ მახარაძე**

დამთავრდა მოსწავლეთა რაიონული სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ფრენბურთში გოგონათა გუნდებს შორის. I ადგილი მოიპოვა მახარაძის 1-ლი საშუალო სკოლის გუნდმა.

შ. კილურაძე.

**✦ ახმეტა**

ჩატარდა დოსააფის რაიონული სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება მცირეკალიბრიანი შაშხანით 50 მეტრზე სროლაში. გუნდურ ჩათვლაში I ადგილზე გავიდნენ ახმეტის 1-ლი საშუალო სკოლის სპორტსმენები. პირად პირველობაში ყველას აჯობა დოსააფის სპორტულ-ტექნიკური კლუბის წევრმა თ. ჭინჭარაულმა, რომელმაც 50-დან 44 ქულა მოაგროვა.

შ. ნათელაური.

**✦ კასპი**

რაიონის მოშაშეთა გუნდურ პირველობაში ფიზკულტურის 14 კოლექტივი მონაწილეობდა. ჩემპიონის სახელი და გარდამავალი თასი დაისაკუთრა ცემენტის ქარხნის გუნდმა. II ადგილი დაიკავა „კასპიელექტროაპარატის" კოლექტივმა, III — ლამისყანის ნაკრებმა.

ლ. ელისაბედაშვილი.

# რა შეუძლია მონდომებას!

თბილისი. საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის საცურაო აუზი. 13 აპრილი.

„ლოკომოტივი" (თბილისი) — „სპარტაკი" (ასტრახანი) 6:5 (1:2, 1:3, 1:0, 3:0).

„ლოკომოტივი": აბრამკინი, გოგუაძე, ცხოიძე, ჩუბინიძე, ლეპიოშკინი, ბატურინი, არუთინოვი, მარგიევი, შაშკინი, შატალინი.

„სპარტაკი": ბულანკინი, ხვალინი, გუნდარინი, ჩუვაევი, ტკაჩენკო, მოროზოვი, პატეევი, ვანიუშინი, ვოზნი, ცეპლიაევი.

მსაჯი ვ. მასლოვსკი (ბაქო).

რკინიგზელი წყალბურთელები V ტურის მატჩში შეჯიბრების აუტსაიდერს — ასტრახანის „სპარტაკს" ეთამაშნენ. თბილისელები რომ აღმაკლობით ატარებენ მატჩებს, ეს ერთხელ კიდევ დაადასტურა ამ შეხვედრამაც, რომლის დასაწყისი და შემდეგ მთელი ორი პერიოდი მასპინძლებს სასიკეთოს არაფერს უქადდა.

დავიწყოთ იმით, რომ რკინიგზელებმა რამდენადმე დუნედ აიღეს სტარტი და ცეპლიაევმა ბურთი გაიტანა. მასპინძლებმა რიცხობრივი უპირატესობის წყალობით შეძლეს ანგარიშის გაქვითვა (გოგუაძე), მაგრამ ვანიუშინმა კვლავ დააწინაურა ასტრახანელები.

მეორე პერიოდის დასაწყისშივე სპარტაკელებმა მესამე გოლი გაიტანეს (პატეევი). აქვე გუნდარინმა კიდევ გაზარდა ანგარიში. თბილისელებმა გამოიყენეს რიცხობრივი უპირატესობა და მარგიევმა შეამცირა სხვაობა. პერიოდის მიწურულს უკვე ასტრახანელებმა გამოიყენეს ასეთივე უპირატესობა და გუნდარინმა მეხუთე გოლი გაიტანა.

რა შეუძლია ენთუზიაზმს, მონდომებას, ურთიერთშეთანხმებულ მოქმედებას — ეს თბილისელებმა მესამე პერიოდში აჩვენეს. სპარტაკელები უხეშობდნენ და 4-მეტრიანით დაჯარიმდნენ. მარგიევმა ზუსტად გამოიყენა გოლის გატანის შესაძლებლობა. რიცხობრივი უმცირესობის პირობებშიც კი მასპინძლები უფრო აქტიურობდნენ და მეტოქის კარს უტევდნენ.

მეოთხე პერიოდში თბილისელებმა ბატურინმა და მარგიევმა (4-მეტრიანი საჯარიმოთი) გაათანაბრეს ანგარიში. ყველაფერი გადაწყდა ბოლო წამებში, როცა მარგიევმა გამარჯვების გოლი გაიტანა.

„ბურევესტნიკი" (თბილისი) — „დინამო" (ლვოვი) 1:5 (0:1, 1:1, 0:2, 0:1).

„ბურევესტნიკი": მალანია, დოლგოვი, ლობჟანიძე, ვორონინი, როდინი, ბერიძე, მოშიაშვილი, სეროფიანი, მეტრეველი, იოსელიანი.

„დინამო": ილინცოვი, ზვერევი, გაიდაენკო, კიპნისი, ბალანდინი, კოზლოვი, პოდგურსკი, კალინინი, გორდიევსკი, მიხალჩენკო.

მსაჯი ნ. პროსტიაკოვი (მოსკოვი).

თუ რკინიგზელებზე კარგის მეტი არაფერი გვეთქმის, სტუდენტები დღითი-დღე აუარესებენ თამაშსაც და სატურნირო მდგომარეობასაც. მართალია, მათი დღევანდელი მეტოქე წარსულში „ა" კლასის უმაღლესი ლიგის ბინადარი გახლდათ, მაგრამ თანაბარი ან უფრო მაღალი კლასის გუნდთან ბრძოლაში წაგება სხვაა და საოცარი ინერტულობის გამო დამარცხება — სხვა. თბილისელთა შეცდომები რომ ჩამოგვეთვალა, ეს წერილი ორჯერ დიდი მაინც გამოვიდოდა. სტუდენტებმა რამდენიმეჯერ ვერ გამოიყენეს რიცხობრივი უპირატესობა, საოცრად უსუსურად დაარტყეს 4-მეტრიანი საჯარიმოები (გოლები ვერ გაიტანეს მოშიაშვილმა და ბერიძემ). ლვოველები კი, პირიქით, თბილისელთა ყოველ შეცდომას შესანიშნავად იყენებდნენ.

დაბოლოს, გოლების ავტორთა შესახებ: ლვოველთაგან ბურთები გაიტანეს პოდგურსკიმ, კიპნისმა (2), ზვერევმა (2. ერთი 4-მეტრიანი საჯარიმოთი); თბილისელთაგან — როდინმა.

ა. ცეხანელი.

**ჩოგინ...**

თბილისში გრძელდებოდა „ა" კლასის II ჯგუფის წყალბურთელთა საკავშირო პირველობის შეხვედრები. დღისით გამართული მატჩები ასე დამთავრდა: „ბურევესტნიკი" (კიევი) — „დინამო" (ხარკოვი) 4:7, „სპარტაკი" (ვოლგოგრადი) — „სპარტაკი" (ასტრახანი) 4:4, „დინამო" (ლვოვი) — „დინამო" (მოსკოვის ოლქი) 4:5.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 5 ტურის შემდეგ

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (მოსკოვის ოლქი) | 5 | 5 | 0 | 0 | 20—11 | 10 |
| „სპარტაკი" (ვოლგოგრადი) | 5 | 4 | 0 | 1 | 22—19 | 8 |
| „დინამო" (ლვოვი) | 5 | 3 | 0 | 2 | 24—14 | 6 |
| „დინამო" (ხარკოვი) | 5 | 3 | 0 | 2 | 24—18 | 6 |
| „ბურევესტნიკი" (მოსკოვი) | 5 | 2 | 1 | 2 | 19—19 | 5 |
| „ბურევესტნიკი" (მინსკი) | 5 | 2 | 1 | 2 | 15—15 | 5 |
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 5 | 2 | 0 | 3 | 26—29 | 4 |
| „ბურევესტნიკი" (თბილისი) | 5 | 1 | 2 | 2 | 14—18 | 4 |
| „ბურევესტნიკი" (კიევი) | 5 | 1 | 0 | 4 | 18—30 | 2 |
| „სპარტაკი" (ასტრახანი) | 5 | 0 | 0 | 5 | 13—22 | 0 |

რედაქტორი მ. კაკაბაძე

დღეს, 20 საათზე, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების საგამოფენო დარბაზში (ათონელის ქ. № 25) გაიხსნება ფოტო-კინოკონკურსზე — „მთები და ადამიანები" — წარმოდგენილ ნამუშევართა გამოფენა.

ხვალიდან გამოფენა ღიაა ყოველდღე, 12-დან 19 საათამდე.

„ლოკომოტივის" სტადიონი




სსრ კავშირის პირველობა

I ჯგუფი „ა" კლასი

დღეს

„ლოკომოტივი" (თბილისი) — „დინამო" (ლენინგრადი)

დასაწყისი 18 ს. 30 წ.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 6 უე 03219